

“იამაყა, საქართველო!”


ლაშა შავდათუაშვილის პირველი ოქრო

ქანა ფაჩააშვილი
ლონდონიდან

“იამაყე საქართველო!” - მითხრა ჩემს გვერდით მჯდომმა იაპონელმა კოლეგამ, როცა “ექსცელ არენაზე” საქართველოს ჰიმნი აჟღერდა. იაპონელს ცრემლები გადმოსცვივდა. არა, ჩვენს ჰიმნზე გული არ აჩუყებია. უბრალოდ წარმოიდგინა, რომ ლაშას ადგილზე შეიძლებოდა მისი თანამემამულე, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი

ნი ებინუმა მდგარიყო, რომელიც სწორედ ლაშამ დასცა ბეჭებზე. თან სულ რაღაც 2.11 წუთში. რაღაც ექნა იაპონელს, რაკი გვერდი-გვერდ ვისხედით, შევთანხმდით, რომ ერთმანეთისთვის გვექომაგა. მე მივულოცე მას თანამემამულის ბრინჯაოს მედალი, მან კი ლაშას გაჩემპიონება მომილოცა - იამაყეო!

საამაყო მართლაც გვაქვს ქართველებს. ლაშა თავის ახალგაზრდულ ასაკში ძიუდოს ქართველ ლეგენდებს შეუერთდა.



“ჭიდაობან არა ტიტულები, არამედ მოჭიდავეები”

ლაშა შავდათუაშვილი ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ავიდა. ეს დიდი პატივია ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, რომელმაც მსოფლიოს წამყვანმა ჟურნალისტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს. დაჯილდოვების ცერემონიის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ლაშა ჟურნალისტთა ტყვეობაში აღმოჩნდა.

- ყველაზე ახალგაზრდა ძიუდოსტი ხარ შენს წონაში და ოლიმპიური ოქრო მოიგე. რას გრძობ ახლა?

- ვთვის წინათ, არც კი ვიცოდი, მოვიპოვებდი თუ არა ოლიმპიურ ლიცენზიას და გამოვიდო-

დი თუ არა ლონდონის ტატამზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ გუნდთან ერთად გავიარე ბევრი შეკრება იაპონიაში, კორეაში, საქართველოში, ბევრს ვვარჯიშობდი და შედეგიც სახეზეა.

- ასეთი ახალგაზრდა ხარ და ასე უცებ როგორ განვითარდი ოლიმპიურ ჩემპიონობამდე?

- ეს დიდ შრომას მოჰყვება. როცა ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატი მოვიგე და დიდ გუნდში გადავედი, ნაკრებთან ერთად ბევრს ვვარჯიშობდი.

ბაბრქაძე
80-7 გვარდუა

სირიის ოპოზიციას დროებითი მთავრობის შექმნა სურს

ივან პილაკაძე

სირიის უდიდეს ქალაქ ალექსანდრიაში ერთგულ არმიასა და ამბოხებულებს შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. რამდენიმე დღიანი მომზადების შემდეგ ხელისუფლების ძალები კონტრშეტევაზე გადავიდნენ.



ბაბრქაძე
80-3 გვარდუა

ოცნებას კაცია არ მოუკლავს!

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე.

- ბატონო მიხეილ, ქართული ოცნება მორიგი აქციის გამართვას ბათუმში აპირებს. წლების განმავლობაში თქვენ, როგორც პუბლიცისტი, აქტიურად მიმოიხილავდით საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს და საინტერესო ანალიზსაც სთავაზობდით მკითხველს. გვინტერესებს თქვენი აზრი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამორჩევაზე.

- გმადლობთ მონვევისთვის და ამის თაობაზე ცოტა ვრცლად ვისაუბრებ.

გამოჩნდა თუ არა პოლიტიკურ სარბიელზე ივანიშვილი, იმ დღიდან იძლევა მითითებებს, დირექტივებს და მიაჩნია, რომ ქვეყანაში ყველაფერი მისი ნება-სურვილით უნდა განხორციელდეს. სურვილი აქვს, ქვეყანა ისე ატრიალოს თითზე, როგორც განკარგავს საკუთარ მილიარდებს. მოკლედ, იქცევა ისე, თითქოს ქვეყნას ხალხის არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი არ ჰყავდეს.



ბუნებრივია კითხვა - რატომ? პასუხი მარტივია: დღემდე მისი ცხოვრება ისე აენყო, რომ ყოველგვარ დაბრკოლებას თუ წინააღმდეგობას იოლად ძლევა და ასე ჰგონია პოლიტიკაშიც.

ბაბრქაძე
80-2 გვარდუა

ბუნების ძალები - მცხნირაბისა და ტურისტებისთვის

ბალა ჩაქარიშვილი

ნელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტთა სასწავლო-საველე პრაქტიკის ფარგლებში დაიგეგმა ექსპედიცია წალენ-

ჯიხის მუნიციპალიტეტის, ჩქვალერის თემის ტერიტორიაზე მდებარე უნიკალურ მდინარე ინწრას ხეობაში, სადაც წარმოდგენილია ბზის კორომით დაფარული, გამორჩეული ვიწრო ხეობა და ინწრას 25-მეტრიანი და კინჩხას 20 მეტრზე მეტი ჩანჩქერი.

ბაბრქაძე
80-5 გვარდუა



1 აშშ დოლარი	1.6593\$
1 ევრო	2.0371\$
1 ინგლისური გირვანქა	2.6083\$
1 თურქული ლირა	0.9104\$
100 რუსული რუბლი	5.1510\$

თბილისი	30°C - 20°C
ქუთაისი	37°C - 24°C
თელავი	33°C - 18°C
ზუგდიდი	36°C - 21°C
ბათუმი	31°C - 24°C

ნავთობი	2.89	+0.02	+0.67%
გაზი	3.03	-0.06	-1.91%
ოქრო	1,623.80	+8.70	+0.54%
ხორბალი	898.00	+14.00	+1.56%

“24 საათის” ელექტრონული ვერსია იხილეთ www.24saati.ge ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK

FM 102.4
საინფორმაციო სერვისების ბანკი

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9 771987 912100

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი Weekend გაკურსალის გამომცემლობა საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!
● ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
● აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიღუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ქაღალბი	6.90	3.00
ქართველები ამერიკაში	17.90	11.90
კავკასიის გამოპოლიტიკური ატლასი	15.90	11.00

სირიის ოპოზიციას დროებითი მთავრობის შექმნა სურს

პირველი გვარდიანი

ასადმა ალევოში გადასროლა საჯაროსი შენაერთები ქვეყნის სხვა რეგიონებში, რადგან ამ ქალაქზე კონტროლის დამყარებას ორივე მხარისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. შეძლებისდაგვარად, შეტყვის მოსაგერიებლად ემზადებოდა "სირიის თავისუფალი არმიაც."

დაუსუსტებელი მონაცემებით, ამბოხებულებმა პირველი შეტევა მოიგერიეს, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აქტიურად იყენებს თავის უპირატესობას მძიმე შეიარაღებაში. ბრძოლაში მათ ჩართეს ტანკები, არტილერია (მათ შორის, სარაკეტო), სამხედრო ვერტმფრენები და საბრძოლო თვითმფრინავებიც კი. ზოგი მონაცემებით, ეს თვითმფრინავები, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ბომბებს არ ყრიან და მხოლოდ დაბალ სიმაღლეზე ფრენით (ხმოვანი ბარიერის გადალახვით) ცდილობენ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას მონინალმდევრზე, თუმცა ეს მაინც ასადის მომხრე საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ჰკავს. საერთაშორისო მედიას სირიიდან მომავალი ცნობების გადამოწმება

დამოუკიდებელი წყაროებით ძალიან უჭირს.

ალევოში რეჟიმის ძალების შეტევა შაბათს, დილით სამხრეთი რაიონებიდან დაიწყო. კვირას განსაკუთრებულად გააფრთხილები ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის ცენტრალურ უბნებში - სალახ-ალ-დინსა და ჰამდანიში. ადგილობრივი რადიოთი გაისმა მონოდეობა ყველა ექიმის მხარით, შეძლებისდაგვარად სწრაფად მისულიყვნენ სალახ-ალ-დინში, სადაც ძალიან ბევრი დაჭრილია. მოსახლეობა პანიკაშია და მასობრივად ტოვებს ქალაქს. ალევოდან გასასვლელი ყველა გზა, ფაქტობრივად, ჩახურგლია მანქანებით. მოსახლეობის ნაწილი დროებით თავშესაფრებში იმალება, ძირითადად, სკოლებში.

ძალიან სწრაფად იზრდება იმ ლტოლვილთა რიცხვი, რომლებიც ქვეყნიდან სამხრეთისკენ, იორდანიაში გადის. ლტოლვილთა დროებითი სატრანზიტო ბანაკები ძალიან გადატვირთულია და ეს უკვე სერიოზულ პრობლემებს ქმნის როგორც ლტოლვილებს შორის, ასევე ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. იორდანიაში, სირიის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქ ზაატარისთან უკვე ფუნქციონირებს

სტაციონარული ბანაკი, რომელშიც ჯერ 10 ათასი კაცია, თუმცა ის შეიძლება მალე გაფართოვდეს და 100 ათას კაცზე მეტი დაიტყოს. მხოლოდ ბოლო დღეებში იორდანიაში სირიიდან 150 ათასი ადამიანი გადავიდა.

გუშინ ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური გაერთიანების "სირიის ეროვნული საბჭოს" ხელმძღვანელმა აბდელბასეტ სეიდამ გაერთიანებული არაბული საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში პრესკონფერენციაზე ორი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. მან სირიის ოპოზიციის მხარდამჭერ ყველა სახელმწიფოს მოუწოდა, ალევოში მებრძოლ ამბოხებულებს ტანკებისა და თვითმფრინავების შესაჩერებლად სასწრაფოდ იარაღით დახმარება აღმოუჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა უარყოფით შედეგებზე.

აბდელბასეტ სეიდას მეორე განცხადება დროებითი მთავრობის შექმნას ეხებოდა. მისი სიტყვებით, ოპოზიციურ ჯგუფებსა და გაერთიანებებს შორის უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩატარდება კონსულტაციები დროებითი მთავრობის შესაქმნელად, რომელმაც მომავალში, ასადის ხელისუფლებიდან

ნასვლის შემდეგ, საკუთარ თავზე უნდა აიღოს ქვეყნის მართვა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებამდე. ეს იდეა თავისთავად საყურადღებოა, დროებითი მთავრობის შექმნისკენ სირიელებს უცხოელი მეგობრებიც მოუწოდებენ, თუმცა აქამდე დასავლეთიდან და არაბულ სახელმწიფოთა ლიგისგან ძირითადად იყო შეთავაზება ორივე მხარისადმი. იგულისხმებოდა ასადის ნასვლა და გარდამავალი მთავრობის შექმნა როგორც მოქმედი ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მონაწილეობით. ანუ დაახლოებით ის, რაც განხორციელდა იემენში. ამჯერად აბდელბასეტ სეიდა ოპოზიციურ გარდამავალ მთავრობას გულისხმობდა.

ეს იდეა არც ისე ადვილი განსახორციელებელია, რადგან "სირიის ეროვნული საბჭო" არ არის ერთადერთი ოპოზიციური გაერთიანება სირიაში. არიან სხვა ჯგუფებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს საბჭო ზედმეტად არის დამოკიდებული თურქეთზე, სადაც მათი შტაბ-ბინა მდებარეობს. ამას გარდა, ისინი, სხვა ოპოზიციონერების აზრით, საკმარისად აქტიურად არ უჭერენ მხარს შეიარაღებულ ბრძოლას სირიაში.

ასეთი დროებითი მთავრობის

შექმნის იდეას "ილუზია" უწოდა რეგიონში სირიის რეჟიმის მთავარი მხარდამჭერი სახელმწიფოს - ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აკბარ სალემიმ. "გულუბრყვილობაა ფიქრი, რომ სირიაში პოლიტიკური ვაკუუმი შეიქმნება და ერთი მთავრობა მეორეს შეცვლის. ეს ფანტაზიაა მიმარჩია." ეს განცხადება მან გააკეთა თეირანში, თავის სირიელ კოლეგასთან - ვალიდ მუალემთან შეხვედრის შემდეგ.


გუშინვე, ჟურნალისტის კითხვაზე პასუხის გაცემის დროს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კატეგორიულად უარყო ასადისთვის რუსეთის მიერ თავშესაფრის მიცემის შესაძლებლობა. მისი სიტყვებით, რუსეთი ამაზე არც ფიქრობს. "ჩვენ არ ვართ სირიის რეჟიმის უახლოესი მეგობრები, მისი უახლოესი მეგობრები ევროპაში არიან და თუ ვინმეს უნდა პრობლემის გადაწყვეტა ამ ფორმით, საკუთარ შესაძლებლობებზე ფიქრონ." ლავროვის სიტყვებით, ასეთი იდეა - მოსკოვის მიერ ასადისთვის თავშესაფრის მიცემა - "იმითი პროფოკაციაა, ვისაც სურს, სირიაში მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობა რუსეთს აპკიდოს".

მთიან ბადახშანში იარაღის დაგროვება დაიწყო

სალომე ჯანიშვილი

მთიან ბადახშანში არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების გარკვეულმა ნაწილმა, რომელთა წინააღმდეგაც 24 ივლისს ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრ ხოროგში სპეცოპერაცია ჩატარდა, უკვე 28 ივლისს იარაღის დაგროვება დაიწყო. ამის შესახებ განცხადება ტაჯიკეთის შინაგარე საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა გააკეთა.

მას შემდეგ, რაც 21 ივლისს შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა მოკლეს მთიანი ბადახშანის ეროვნული უსაფრთხოების გენერალი აბდულო ნაზაროვი, 24 ივლისს ხელი-სუფლებამ მთიან ბადახშანში სერიოზული სპეცოპერაცია ჩატარა. ხელისუფლება მოითხოვდა, რომ ჯგუფის წევრებს იარაღი ჩაებარებინათ და ძალოვანებისთვის გადაეცათ ოთხი პიროვნება, რომელსაც ბრალად ედებოდა გენერლის მკვლელობა; ასეთ შემთხვევაში მათ ამნისტიას დაჰპირდნენ. იარაღის დაგროვება დაიწყო 28 ივლისს, მას შემდეგ, რაც მებრძოლებს განუცხადეს, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში დილისთვის კიდევ ერთ სპეცოპერაციას დაინებდნენ. სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც იარაღს თავისი ნებით ჩააბარებს, ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული იქნება. ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ,



თუ რამდენმა მებრძოლმა ჩააბარა იარაღი, ჯერ არ ვიცოდებთ.

ოპერაცია ორგანიზებული იყო ტოლიბეკ აიემბეკოვის და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ, რომელთაც ხელისუფლება უშიშროების გენერალის მკვლელობაში ადანაშაულებდა.

ოფიციალური ინფორმაციით, სპეცოპერაციის შედეგად მოკლეს ბანდის 30 წევრი, 40 წევრი, მათ შორის, ხუთი - ავღანეთის მოქალაქე, დააკავეს. დაიღუპა სამართალდაცავი ორგანოს 17 წევრი. ბანდის წევრების დაკავების დროს 40 ადამიანი დაშავდა. გარდა ამისა, ტაჯიკეთის ხელისუფლებამ ერთი მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის თაობაზე განცხადება გააკეთა. თუმცა დიდი ხანია ვიცოდებთ არაფერციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა გაცილებით მეტია და ის დაახლოებით 100 ადამიანს აღწევს.

გენერალური პროკურატურის განცხადებით, გენერლის მკვლეობაში ეჭვმიტანილები არიან: ტაჯიკეთის ოპოზიციის არაფორმალური ლიდერი ტოლიბეკ აიემბეკოვი, ედგორ მაჰმადისლამოვი, იმონზარ იმონზაროვი და მამადბოკირ მამადბოკიროვი. ეს ოთხი ეჭვმიტანილი - ადგილობრივი ავტორიტეტები არიან, რომლებიც ფაქტობრივად აკონტროლებდნენ მთიან ბადახშანს და უკვე დიდი ხანია, რაც დეშანბეს გალიზიანებას იწყებენ. არსებობს ვა-

რაუდი, რომ გენერალ აბდულო ნაზაროვის მკვლელობა გახდა მხოლოდ საბაბი იმისა, რომ ხელისუფლებას მათ წინააღმდეგ საომარი კამპანია დაეწყო, რომლის განხორციელებაც უკვე დიდი ხანია სურს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ტოლიბეკ აიემბეკოვი და მამადბოკირ კარამალიშოვი 1996-1997 წლებში, სამოქალაქო ომის დროს, მსახურობდნენ ძალოვან სტრუქტურაში. ომის დასრულების შემდეგ მათ ყველა ცეცხლსასროლი იარაღი არ ჩაუბრებიან და ფარულად შექმნეს შეიარაღებული დაჯგუფება. ამავე წლებში მსგავსი რამ გააკეთეს იმონზარ იმონზაროვმა და ედგორ მაჰმადისლამოვმა, ომის დასრულების შემდეგ მათაც შექმნეს მსგავსი შეიარაღებული დაჯგუფება. 2000-2012 წლებში ოთხმა დამნაშავემ თავის გარშემო მთელი დაჯგუფება შემოიკრიბა, რომელთა შორისაც უამრავი ახალგაზრდა იყო. მათ დაჯგუფებას ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადგვა გასული 12 წლის განმავლობაში, მათ შორის, ყაჩაღობა, თამბაქოს კონტრაბანდა, ადამიანებით ვაჭრობა, მკვლელობები, გატაცებები, სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი შეიარაღებული წინააღმდეგობა, გადასახადებისგან თავის არიდება და სხვა. მათი ჯგუფის სახელს ოფიციალურად უკავშირდება დაახლოებით 20-მდე სხვადასხვა სახის დანაშაული, თუმცა დანაშაულთა რაოდენობა რეალურად გაცილებით მეტია.

ოთხი ეჭვმიტანილიდან ჯერ არც ერთი არ არის დაკავებული. დაუსუსტებელი ინფორმაციით ტოლიბეკ აიემბეკოვი უკვე ავღანეთში გაიქცა. დაღუპულ "ბოევიკებს" შორის კი არის მისი შვილიც (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით).

ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მზადდება მეგატერაქტი - სარეზის კაშხალზე. გავრცელებულ ინფორმაციას ამოწმებს ტაჯიკეთის უსაფრთხოების სამსახური. ტერაქტს შესაძლოა, ძალიან დიდი წყალდიდობა მოჰყვეს. მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ განცხადება გაკეთდა pамиr-vesti.ru-ს საიტზე, რომელიც მთიანი ბადახშანის ყოფილი მცხოვრებლების მიერაა შექმნილი. საიტზე გავრცელებული ინფორმაციით, მართალია, ბადახშანში სიტუაცია დაწყნარდა და მებრძოლები იარაღს აბარებენ, მაგრამ ორი ჯგუფი "საპასუხოდ დარტყმისთვის" ემზადება და სარეზის ტბაზე ორი მანქანით მიაქვთ "დიდი რაოდენობით ასაფეთქებლები". კაშხლის აფეთქების შემთხვევაში წყლის ნაკადი გადაუვლის ათობით ქალაქს, გაანადგურებს მთელ კომუნიკაციას, გამოიწვევს ასი-ათასობით, შეიძლება, მილიონობით ადამიანის სიკვდილს, და შეეხება რამდენიმე სახელმწიფოს. ეს ცნობა ჯერ დაუსუსტებული არ არის, თუმცა, უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ისინი გავრცელებულ ინფორმაციას ნებისმიერ შემთხვევაში გადაამოწმებენ.

რუსეთს კამრანში დაბრუნების აზრისკენ გაურდდა

თაბათა კახაძე

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურმა ვიეტნამში, კუბასა და სეიშელის კუნძულებზე სამხედრო-საზღვაო ბაზების განლაგება დააანონსა.

ვიეტნამთან და კუბასთან სამხედრო თანამშრომლობის გამოცდილება რუსეთს უკვე გააჩნია: ამ ქვეყნებში ბაზები საბჭოთა კავშირს ჰქონდა განთავსებული და შემდეგ მათი ლიკვიდაცია უკვე რუსეთის ფედერაციის მიერ ბიუჯეტის შემცირე-

ბასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ექსპერტებს ახლაც ეჭვი ეპარებათ, რომ რუსეთის ბიუჯეტი საზღვრებს გარეთ ბაზების შენახვას შეძლებს.

"უახლოესი წლების განმავლობაში რუსეთმა კუბასა და ვიეტნამში, შესაძლოა, სამხედრო ბაზები დაიბრუნოს. ამასთან, მოლაპარაკებები მიმდინარეობს სეიშელზე რუსული სამხედრო-საზღვაო ძალების განლაგების შესახებ," - განაცხადა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურმა ვიცე-ადმირალმა ვიქტორ ჩირკოვმა.

რუსეთმა, ფაქტობრივად, უკვე

გადაწყვიტა დაბრუნება კუბასა და ვიეტნამში, სადაც ადრე უკვე ჰქონდა ბაზები განლაგებული. ფედერაციის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი ვიქტორ ოზეროვი მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ მიზეზებს.

რუსეთის განცხადებას ვიეტნამის ხელისუფლება სწრაფად გამოეხმაურა. ქვეყნის პრეზიდენტმა ჩიონგ ტან შანგმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვიეტნამი რუსეთს უფლებას არ მისცემს, ქვეყნის ტერი-

ტორიაზე სამხედრო ობიექტები განალაგოს: "ჩვენ არავითარ შემთხვევაში არცერთ ქვეყანასთან არ ვითანამშრომლებთ კამრანის ნავსადგურის სამხედრო მიზნით გამოყენების საკითხზე. ვიეტნამი საკუთარი მინის ერთადერთი ბატონია," - აღნიშნა პრეზიდენტმა, რომელმაც დაამატა, რომ ვიეტნამში საბჭოთა კავშირის ყოფილი ბაზა გემების შეკეთებისა და მომსახურების საერთაშორისო პუნქტად გადააკეთდება.

სამხედრო ექსპერტ ვლადიმირ ევსეევის თქმით, საქმე ეხება მხოლოდ "სრულიად სხვადასხვა ქვეყა-

ნაში ფლოტების განთავსებას." "ის, რაც საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა, სრულიად არ სჭირდება რუსეთს. საბჭოთა კავშირის რეალურად შექმნილი ოპერაციის წარმოება თავის საზღვრებს გარეთ და გააჩნდა ეს-კადრა, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მოქმედებდა. რუსეთის ფედერაციის ფლოტს კი საზღვრებს გარეთ რაიმე ტიპის ოპერაციის წარმოება არ შეუძლია. ამასთან, ეს სანაპირო ფლოტია. სანაპირო ფლოტს კი უცხოეთის სამხედრო-საზღვაო ბაზები არ სჭირდება," - აღნიშნავს ექსპერტი.

| 0%-ლან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი



 ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსოტა ქანარაძე

290 90 90
* 90 90
BR. GE

ბუნების ძეგლები - მაცნობარობისა და ტურისტებისთვის

პირველი გვერდიდან

ეს ის ხეობაა, სადაც ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით მომზადდა საინფორმაციო კლიპი "სამეგრელოს რეგიონზე."

ერთი კვირის წინ სტუდენტური ექსპედიცია ბუნებრივი ძეგლებით გამორჩეულ ყვირას მთისკენ გაემართა, სადაც არის მსოფლიო მნიშვნელობის მოქანავე ლოდი, ყინულიანი მღვიმე და, აგრეთვე, თოვლიანი ჭა.

ყვირას მასივი მოქცეულია ნალენჯის რაიონის ჩრდილოეთით, მდ. მაგანასა და ჭანისწყლის ხეობებს შორის, უმაღლესი წერტილი - მწვერვალი ყვირა 2038 მეტრზე მდებარეობს, დაკარსტის სიმძლავრე 1200-1400 მეტრია. აქ აღრიცხულია შვიდი მღვიმე, რომელთა შორის ყველაზე ღრმა (77 მ) ცოტნე დადიანის უფსკრულია. აქ წარმოდგენილი მღვიმეებია: დევის (დემი-ფოქვას) მღვიმე, ინწრის მღვიმე, ცოტნე დადიანის უფსკრული, ალბოვის უფსკრული, სათოვლე (სათირო) ჭა, ყვირას მღვიმე, მედანის მღვიმე.

"საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობების მაღალი კონტრასტულობა და ლანდშაფტური მდებარეობის მაღალი კოეფიციენტი განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში ბუნების უნიკალური ძეგლების სიმრავლეს, რაც სულ უფრო მეტ უცხოელ ტურისტს იზიდავს, - ამბობს ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ-ს პროფესორი გიორგი დვალაშვილი, - საქართველოში ბევრგანაა გადაადგილებული და მოქანავე დიდი ზომის ლოდები, რომლებიც ძველ მყინვარებსა და ღვარცხოვებს გადაუადგილებია. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითა ეს ერატიული ლოდები აბუდელაურისა (ხევსურეთი) და ჯონოულის (ლეჩხუმი) ხეობებში, ნებლდის (აფხაზეთი) მიდამოებში და სხვ. რაც შეეხება მოქანავე ლოდებს, ჯერჯერობით მათი ერთადერთი წარმომადგენელი საქართველოში არის ყვირას მთაზე "ქუაქანცალია", რომელიც მთა ყვირას უტყეო თხემურ ზონაში, ამაღლებულ კვარცხლბეკზე "ზის". ეს არის კირქული ლოდი წვიმებისაგან დახრული ზედაპირით; აქვს 1,75 - 1,45 მ სიმაღლე და, დაახლოებით, 10-12 ტონას იწონის. ლოდი "ქუაქანცალია" გარკვეულ წიბოზე



თუნდაც სუსტი დანოლით ქანაობს და კაკულის ხმას გამოსცემს. მას ოთხი საყრდენი წერტილი აქვს, მაგრამ ერთი მათგანი ყოველთვის უქმდაა. ყოველ მომენტში ლოდი კვარცხლბეკს სამგან ყვრდნობა, ერთი საყრდენი კი მდებარეობს იცვლის."

მოქანავე ლოდები ცნობილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და უმთავრესად მაგური ქანებისგან (გრანიტებისგან, ანდეზიტებისგან და სხვ.) შედგება. სამეგრელოს მოქანავე ლოდის - "ქუაქანცალია" თავისებურებას განსაზღვრავს მისი შემადგენლობა (კირქვა) და ისიც, რომ იგი დაკარსტულ მასივზე მდებარეობს. მასთან მისვლა შესაძლებელია ნალენჯის რაიონის სოფელ ჩქვალერიდან ჯერ ავტომობილით, შემდეგ კი (უკანასკნელ 3 კმ-ზე) - ცხენით ან ფეხით. "ქუაქანცალია" გარდა, საქართველოში ცნობილია გლოლის, დურუჯის, როშკის, საკენის, ჩეგოლის მოძრავი ლოდები და მესტიის რაიონში მდებარე "ფერხულისქვა". მისი განზომილებებია 20 X 20 X 18 მ, დახრილად დევს ალპურ მდელოზე და ერთ-ერთი უდიდესი ერატიული ლოდი მსოფლიოში. მისი ჩამოტანა მყინვარის მიერ უნდა მომხდარიყო "მცირე გამყინვარების ეპოქაში" (XVII-XIX სს.).

სტუდენტური პრაქტიკა რეგიონში არსებული ბუნების ძეგლების შესწავლა- შეფასებას ემსახურება, მათი გეოგრაფიული მდებარეობის, აბსოლუტური სიმაღლის, მუნიციპალური ცენტრიდან დაშორებისა და ბუნებრივი პირობების განსაზღვრით. ასევე აღინერა მისასვლელი გზის ხასიათი. გიორგი დვალაშვილის თქმით, სტუდენტების მიერ მოპოვებული მასალები გამოყენებული იქნება ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში, აგრეთვე, ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში "კარსტოლოგიის" სასწავლო კურსის სწავლების მიზნით.

მსოფლიოში არსებული ბუნების ძეგლებიდან, გეიზერებისა და მოქმედი ვულკანების გარდა, საქართველოში ყველაფერია აღმოჩენილი: მღვიმეები, კლდის სვეტები და კოშკები, ტბები, ჩანჩქერები, კანიონები და უცნაური ბუნებრივი მოვლენებით მიღებული ფორმები. გიორგი დვალაშვილის თქმით, გეოლოგიურ წარსულში მოქმედი და დღისათვის უმოქმედი ვულკანური სიღრუველები, ძირითადად, სამხრეთ საქართველოშია წარმოდგენილი, აღმოსავლეთ საქართველოში ბევრგანაა ტალახის ვულკანები. საქართველო ერთ-ერთ პირველ

ადგილზეა მსოფლიოში მღვიმეებით, ბევრი მღვიმე შესაძლებელია მოხვდეს ტურისტულ მარშრუტებში. აქ არის მსოფლიოში ყველაზე ღრმა კარსტული უფსკრული კრუბერი 2190 მეტრი სიღრმით, გამოჩეულია ახალი ათონის მღვიმე აფხაზეთში.

ბუნების ძეგლთა შორის ასევე აღსანიშნავია კლდის სვეტები და კოშკები. სპეციალისტთა თქმით, ამგვარი ობიექტების აღმოჩენა მომავალშიც მოსალოდნელია. ზოგიერთ სვეტს ნაწილობრივ მაინც ანთროპოგენული წარმოშობა შეიძლება ჰქონდეს. სვეტის შექმნაში ადამიანის მონაწილეობა რელიგიური მოსაზრებებით უნდა ყოფილიყო.

ტურისტები ყველა ქვეყანაში სიამოვნებით მოგზაურობენ კანიონებში, ვინრო ხეობებში, ჩანჩქერებით მდიდარ ტერიტორიებზე. ლაშქრობის ეს ფორმა პოპულარული ხდება საქართველოშიც. კანიონები დამახასიათებელია უმთავრესად კირქვებით ან ლავებით აგებული რეგიონებისათვის. საქართველოში რელიეფის ასეთი ფორმები ასობით დაითვლება.

გიორგი დვალაშვილი: "სტუდენტებმა პრაქტიკის ფარგლებში, თეორიული ცოდნის პარალელურად, ბუნების ძეგლების ნაწილი

პრაქტიკულად შეისწავლეს. ეს საშუალებას მისცემთ, მომავალში ხელი შეუწყონ ამ ძეგლებამდე ვიზიტორების გადაადგილებას, ხოლო საკონფერენციო და სხვა ნაშრომებში გეოგრაფიული ობიექტების პოპულარიზაცია მოახდინონ. პროფესიონალ გეოგრაფს შეუძლია, კარგად დაგეგმოს ტურისტული მარშრუტები და თვითონაც აქტიურად გაუწიოს მეგზურობა ვიზიტორებს. თსუ-ს ეგიდით კიდევ იგეგმება ექსპედიციები საქართველოს ბუნების ძეგლების შესასწავლად, ამჯერად სტუდენტებთან ერთად დაგეგმილია მოსწავლეების ჩართვა საქართველოს უნიკალური ბუნების ძეგლების შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში."

პოპულარიზაცია კი ბუნების ძეგლებს ნამდვილად სჭირდება, რადგან ის, რაც ბუნებრივი მოვლენებით არ ზიანდება, ადამიანების მავნებლობას ეწირება. სპეციალისტები სახელმწიფოს და საზოგადოებას მათი დაცვისკენ მოუწოდებენ და გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით ვერც ტურიზმის მნიშვნელობის გააზრება შეეძლებოდა და ვერც ტურისტული მარშრუტებით ტკობა.

საზაფხულო სკოლა "ქართული დამწერლობა"

რამდენიმე დღის წინ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საზაფხულო სკოლა დასრულდა. პროექტი განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და კომპანია "ჯეოსელის" ფინანსური მხარდაჭერით.

ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მიზანი გახლდათ: ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის - ქართული დამწერლობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართული ხელნაწერი ტრადიციის, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების პროდუქტის, მრავალმხრივობის აქცენტირება, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა სამომავლო თანამშრომლობისათვის საფუძვლის მომზადება, თანამშრომლობითი ურთიერთობების



განვითარების ხელშეწყობა.

საზაფხულო სკოლა განკუთვნილია ქართული კულტურით, განსაკუთრებით, ქართული დამწერლობითა და ხელნაწერი მეცნიერებით დაინტერესებული უცხოელებისთვის.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა 22 (ოცდაორი) უცხოელი შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სერბია, პოლონეთი, თურქეთი, ირანი და სომხეთი.

საზაფხულო სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავდა აკადემიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. აკადემიური პროგრამა ითვალისწინებდა სალექციო კურსებს, პრაქტიკულ სამუშაოებსა და დავალებებს, "ვორქშოპებს". აკადემიურ სასწავლო კურსს წარუძღვნენ ქართველოლოგიის სფეროს ქართველი მეცნიერები. კულტურულ-საგანმან-

ათლებლო პროგრამა მოიცავდა თემასთან დაკავშირებულ გამოფენას და ექსკურსიებს.

პროგრამის ფარგლებში, მრავალი მაგდის ფორმატში გაიმართა 3 დისკუსია, ასევე სკოლის მონაწილეებმა წარადგინეს სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრები პრეზენტაციის სახით. სკოლის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა მსმენელების შეფასების ორკომპონენტის სისტემას და მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას. სკოლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატი.

ლექციები, ძირითადად, ჩატარდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე, თემატიკიდან გამომდინარე, ექსკურსიების ფარგლებში სხვადასხვა სამუზეუმო და საბიბლიოთეკო სივრცეში.

ბანკი: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"




ცხრილი N1

თარიღი: 30-Jun-12

Table with columns: N, აქტივები, საანგარიშგებო პერიოდი (ლარი, ევო, აშშ დოლარი), წინა წლის შესაბამისი პერიოდი (ლარი, ევო, აშშ დოლარი). Rows include assets like loans, deposits, and securities.

ფინანსური დირექტორი

ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე



მ. მეთევზევილი

ი. ჩანაშვილი

ბანკი: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"

თარიღი: 30-Jun-12

ცხრილი N3

Table with columns: N, აღწერა, საანგარიშგებო პერიოდი (ლარი, ევო, აშშ დოლარი), წინა წლის შესაბამისი პერიოდი (ლარი, ევო, აშშ დოლარი). Rows include liabilities like deposits, loans, and other obligations.

ფინანსური დირექტორი

ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე



მ. მეთევზევილი

ი. ჩანაშვილი

ბანკი: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"

თარიღი: 30-Jun-12

ცხრილი N2

Table with columns: N, მოგება - ზარალი, საანგარიშგებო პერიოდი (ლარი, ევო, აშშ დოლარი), წინა წლის შესაბამისი პერიოდი (ლარი, ევო, აშშ დოლარი). Rows include income and expense items.

ფინანსური დირექტორი

ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე



მ. მეთევზევილი

ი. ჩანაშვილი

ბანკი: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"

თარიღი: 30-Jun-12

ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

ცხრილი N5

Table with columns: საბჭოს შემადგენელი წევრები, ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ. Rows list board members and their details.

ფინანსური დირექტორი

ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე



მ. მეთევზევილი

ი. ჩანაშვილი

ბანკი: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"


თარიღი: 30-Jun-12

ცხრილი N4

Table with columns: კაპიტალი, საანგარიშგებო პერიოდი, წინა წლის შესაბამისი პერიოდი. Rows include capital items like equity, loans, and deposits.

ფინანსური დირექტორი

ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე



მ. მეთევზევილი

ი. ჩანაშვილი

euro pe-bet.com "ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ



ლაშა შავდათუაშვილი (მარცხნიდან მეორე) ოლიმპიური ჩემპიონია

"ჭიდაობან არა ტიტულაბი, არამედ მოჭიდავები"

პირველი გვერდიდან

იყო მომენტები, როცა ცუდად ვიყავი, მაგრამ მწვრთნელი მაინც მეუბნებოდა: ივარჯიშე, გამოგადგება. მეც ვვარჯიშობდი, როგორც შემეძლო. შეკრებებზე ბევრი შევიძინე, როცა იაპონელ და კორეელ ფალავნებთან ერთად ვვარჯიშობდი და როგორც ვნახეთ, ამან შედეგი გამოიღო.

- და შენი ახალგაზრდობის მიუხედავად, არ დაგვარგუნა იმანაც, როცა მსოფლიო ჩემპიონ იაპონელ ებინუმას პირისპირ აღმოჩნდი?

- საქმე ის არის, რომ ჭიდაობენ არა ტიტულები, არამედ მოჭიდავეები. შესაბამისად, მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვინ შემხვდებოდა: მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის, თუ ოლიმპიური თამაშების. ყველა მეტოქესთან ვცდილობდი ჩემი შესაძლებლობების გამოვლენას.

ბები ბოლომდე გამომეველინა.

- ჩანდა, რომ ყველა შეხვედრაში რისკავდი და აგრესიურ ძიუდოს სთავაზობდი მეტოქეს. ეს გარკვეულწილად საშიში არ იყო?

- ვცდილობდი, მეჩვენებინა ის, რაც ვისწავლე. ეს კი აგრესიული სტილია. რისკი ყოველთვის არსებობს, მაგრამ იმის რისკიც დიდაა, რომ პასიური ჭიდაობით მეტოქის ილეთზე წამოვგო.

- ლაშა, აცნობიერებ, რომ ასეთი ახალგაზრდა დიდი ქართველი ფალავნების რიცხვში ჩადექი?

- გმადლობთ! ეს დიდი პატივია დამკვიდრდე დიდ ფალავნებს შორის. თუმცა, როცა ძიუდოში ვარჯიში დავიწყე, ვოცნებობდი ოლიმპიური ჩემპიონი გავმხდარიყავი და მოხარული ვარ, რომ მიზანს მივაღწიე.

"იაზაყა, საქართველო!"

პირველი გვერდიდან

ის მეშვიდე ძიუდოსტი, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო: ჩოჩიშვილი, ხაბარელი, ხუბულური, ხახალეიშვილი, ზვიადური, ცირეკიძე და ლაშა შავდათუაშვილი. ესეც რომ არა, ლონდონის "ექსცელ არენაზე" ყველაზე მაღლა საქართველოს დროშა ფრიალებს.

სიმბოლურია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სწორედ გორელმა ფალავანმა ლაშა შავდათუაშვილმა მოუტანა საქართველოს პირველი ოლიმპიური ოქრო. მან ძიუდოს სამყარო ფეხზე წამოაყენა, თავისი პერსონის მიმართ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია და ამაცობს კიდევც.

ლაშა ტურნირისთვის კარგად იყო მომზადებული, მაგრამ კენჭისყრას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გაუმართლა კიდევც. მართალია ლაშას ბადეში მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომრები იყვნენ - კორეელი ჩო ჯი (1), მონღოლი ხაშბათარი (2), იაპონელი ებინუმა (3), მაგრამ ლაშას ნახევარფინალამდე არცერთი მათგანი არ შეხვედრია.

სამაგიეროდ შეხვდა ფრანგი ლაროში, რომელსაც ლაშა უაღრესად

სად მობილიზებულად ეჭიდავა და 1.06 წუთში მოუღო ბოლო. მომდევნო წრეში ლაშას მეტოქე ბრიტანელი ოტესი იყო. ეს ის ოტესია, რომელმაც მეორე წრეში მსოფლიოს მეორე ნომერი, მონღოლი ხაშბათარი გაუყენა მონღოლურ სტეპებს. მართალია ოტესი დიდი შედეგებით არ გამოირჩევა, მაგრამ საკუთარ დარბაზში ჭიდაობდა და ქართველ ფალავანს გამაყრუებელი ზენოლის ქვეშ უხდებოდა ბრძოლა. საკმარისი იყო ინგლისელი განძრეულიყო, რომ "ექსცელ არენა" ინგრეოდა. ასეთ პირობებში გამოცდილ ფალავანსაც გაუჭირდებოდა ბრძოლა, მაგრამ ლაშა მობილიზებული იყო, ყურადღებით აკონტროლებდა შეხვედრას და დამატებით დროში ოქროს ქულაც მოიპოვა.

ოტესის შემდეგ ჯერი მსოფლიო ჩემპიონ ებინუმაზე მიდგა. იაპონელები რომ მაგრები არიან, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ძიუდო მეტად სათუთი სპორტია. ერთი დაუდევრობა შეიძლება ძვირად დაგიჯდეს და რაც არ უნდა ძლიერი იყო, მაინც არაფერი გამოგივა. იაპონელს სწორედ ასე დაემართა. თავისი აგრესიულობით ლაშამ აიძულა მეტოქე შეცდომა დაეშვა, ილეთზე გამოიჭირა და ბეჭებზე გააკრა. შე-

მოირტყა თავში ხელი ჩემმა იაპონელმა კოლეგამ, მაგრამ რაღას განწყობდა, მისი ჯილა ქართველმა დაითხოვა ტატამიდან.

ფინალში კი შავდათუაშვილს უნგრელი ფალავანი უნგვარი გადაეყარა. უნგრელის დარ ძიუდოსტებთან ბრძოლა ყოველთვის ჭირს. ის ელოდება მეტოქის შეცდომას და არც თვითონ ჭიდაობს და არც შენ გაჭიდავებს. პეტერ ზაიზენბახერმა ზუსტად შეისწავლა მეტოქე და ლაშას ტაქტიკა აგრესიულ ჭიდაობასა და სრულ კონცენტრაციაში გამოიხატებოდა. უნგრელს არ მიეცა საშუალება, თავისი კარნახით ნაყვანა შეხვედრა. ლაშამ ის ერთ ილეთზე დაიჭირა, ქულა აართვა და დარჩენილ დროში, შეიძლება ითქვას, უნგრელს მისსავე ტაქტიკით მოუგო.

ლაშა შავდათუაშვილი ოლიმპიური ჩემპიონია! მაგრამ მთავარი ის არის, რომ ოლიმპიური თამაშები მხოლოდ დაიწყო და ქართველებს საკუთარ არსენალში კიდევ ჰყავთ სამედლო ფალავნები. იცით რა სასიამოვნოა, როცა შენი ქვეყნის ჰიმნს მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგება?



ოქროს ფინალის მომენტი

ჭრელია ჭრელი თამაშები - ლონდონის კარი გაიღო

გიგა გარასაშვილი ლონდონიდან

ინგლისელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონია წინამორბედზე უკეთესი ყოფილიყო. ჩინელებმა პეკინის თამაშებზე ახალი სტანდარტები დაანესეს, თამასა ასნიეს და სხვებს ფაქტობრივად ხელ-ფეხი შეუკრეს. ბევრს ეჭვი ეპარებოდა, რომ საიუბილეო - ოცდამეათე თამაშების მასპინძლები რაიმე უფრო ორიგინალურსა და დასამახსოვრებელს მოიფიქრებდნენ, ვიდრე ეს იყო პეკინის «ჩიტის ბუდე-

ში». არადა, ლონდონი 2012-ის საორგანიზაციო კომიტეტმა ერთგვარი პირობა დადო, რომ სულაც არ აპირებდნენ ჩინელებისთვის პირველობის ჩამორთმევას, გასწრებას, მაგრამ 27 მილიონი ფუნტი სტერლინგი მაინც დახარჯეს. ამასთან, ოსკაროსანი დენი ბოლის რეჟისორად მიწვევა იმთავითვე ბადებდა ეჭვს, რომ ბრიტანელები რაღაც განსაკუთრებულს აპირებდნენ. პეკინის მსგავსი რამ არც დასიზმრებია! ბრიტანელებმა კიდევ უფრო ასნიეს თამასა და 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ რიო დე ჟანეიროს საქმე გაურთულეს. არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ ფაქტია, ბრაზილიელებს დიდი ძალისხმევა დასჭირ-

დებათ, რომ ლონდონის თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე უკეთესი რამ შესთავაზონ მსოფლიოს.

ერთი სიტყვით, საზეიმო გახსნა შედგა. ბრიტანელებმა 80-ათასიანი ცოცხალი აუდიტორიისა და მილიარდნახევრიანი ტელემაყურებლის წინაშე სრულად წარმოაჩინეს ქვეყნის ისტორია, გაჯერებული «ბითლზის», «როლინგ სტოუნზისა» თუ «პროდიჯის» ჰიტებით. ეს ის შემთხვევაა, რასაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ. ამ ყველაფრის თვითმხილველი ან ტელემაყურებელი უნდა ყოფილიყავი. და მაინც, რაც არ უნდა მოეფიქრებინათ ბრიტანელებს, მთავარი მოვლენა მაინც იყო მონანილე ქვეყნების აღ-

ლუმბი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა ყველა ქვეყანა. ასეთი კი ლონდონის ოლიმპიურ სტადიონზე 204 იყო. მათ შორის იყო საქართველოც, რომელსაც დროშით ხელში წინ მიუძღოდა ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე.

თითოეული ქვეყნის დელეგაციაში იყვნენ ქალი სპორტსმენები, რაზეც თავის სიტყვაში ყურადღება გამახვილა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ.

შეიძლება ითქვას, რომ სპორტმა დისკრიმინაცია დაამარცხა. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ბრუნეის, ყატარისა და საუდის არაბეთის ოლიმპიურ ნაკრებებში პირველად გამოჩნდნენ ქალი

სპორტსმენები. მეტიც, ყატარისა და ბაჰრეინის ნაკრებებში სწორედ ქალებს არგუნეს მედროშეობის პატივი.

უცნობია, როგორი იქნება თავად ოლიმპიური თამაშები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გახსნის საზეიმო ცერემონია უაღრესად შთამბეჭდავი გამოდგა.

ძნელია წინასწარ იმის განჭვრეტა, თუ როგორი იქნება თავად ოლიმპიური თამაშები, მაგრამ თუ გახსნის მსგავსი გამოდგა, მაშინ ბევრ დაუფინყარ წუთს უნდა ველოდოთ.

P.S. ლონდონში ახლა იმაზე წუხან, რამდენად სწორი იყო კრიზისის პერიოდში მილიონების ხარჯვა.

ანა ტატიშვილია მოგებით დაიწყო

ჩოგბურთელების ტურნირი დაიწყო, წვიმის გამო შეწყდა, მერე წვიმა შეწყდა და ანა ტატიშვილია მეორე წრის ვიზა აიღო. საქართველოს პირველი ნომერი სტეფანი ვოგთზე გავიდა. სენიორა ვოგთი ლიხტენშტეინიდან არის, ჩოგბურთის თამაშს სწავლობს და ტატიშვილთან შედარებით, მოყვარულია. ანამ პირველი წრე მშვიდად დახურა და 6:2, 6:0 დასვა. ტატიშვილია თამაში 61 წუთში დაამთავრა.

ანა რეიტინგის პირველ ასეთულში (84) არის, წელს სადღაც მოიგო, სადღაც დაუგეგმავად წააგო და აუცილებლად მოუმატებს. ვოგთი პროფესიონალებში არ ირიცხება. კარიერაში 147 დოლარი აქვს გამო-

მუშავებული და სხვა საქმეებით არის დაკავებული. უბრალოდ, ლიხტენშტეინიდან ოლიმპიადაზე ჩოგბურთი ვინმეს უნდა ეთამაშა და სტეფანიმ ეს გააკეთა. ორი გეიმიც აიღო. მშვენიერია. ტატიშვილი შემდეგ წრეშია და იქ უფრო საინტერესო, სერიოზულ გოგონას გაესაუბრება. ანას მონინალმდევე იქნება რუსი ნადია პეტროვა (რეიტინგში მეცხრამეტეა). ან ჩინელი ჟი ჟენი (25). წინა ოლიმპიადაზე ჟენი მესამეზე გადის. წყვილებში, დაქალ იან ჭიისთან ერთად. პეტროვა სულ პეტროვაა. ანას კარგი თამაში ექნება. კარგი და მაგარი რთული.



ანა ტატიშვილი მეორე წრეში გავიდა

მედლების Top 10

	I	II	III	სულ
1. ჩინეთი	6	2	2	10
2. აშშ	2	3	2	7
3. იტალია	2	2	2	6
4. სამ. კორეა	2	1	2	5
5. ყაზახეთი	2	0	0	2
6. ბრაზილია	1	1	1	3
7. ჰოლანდია	1	1	0	2
8. ჩრდ. კორეა	1	0	1	2
9. რუსეთი	1	0	1	2
10. ავსტრალია	1	0	0	1
10. საქართველო	1	0	0	1

დანა ვოლმერმა ამერიკას ცურვაში ოქროს მედალი მოუტანა

ამერიკულად

ოლიმპიადის პირველ გასაუბრებაში Dream Team საფრანგეთთან გაერთო. კევინ დიურანი - 21 ქულა, 9 მოხსნა, მშვიდი კალათბურთი. დანარჩენები - დანარჩენი ქულა, მშვიდი, უკომპლექსო კალათბურთი. ამერიკის ბევრი მტატიის ნაკრებმა ოლიმპი-ადა საფრანგეთთან მოთელვით 98:71 დაიწყო. საფრანგეთის ჯოკერი, მისტერ ტონი პარკერი ლამის კლუბში ცელქობის შემდეგ, სათვალთ და დისკომფორტით თამაშობდა. ხდება ხოლმე. ამერიკული სილამაზე მართლა ლამაზი იყო.

(10), დიანო (9+6 მ), ფ.პიეტრუსი (8), ბატუმბი (7), ტურიაფი (7+9 მ), დე კოლო (7), ჟულა-ბალი (4), ბოკოლო (4), სერაფინი (3).

ნიგერია-ტუნისი 60:56 (18:7, 13:8, 14:16, 15:25)

ჰ ჯგუფი

ბრაზილია-ავსტრალია 75:71 (19:20, 17:15, 20:14, 19:22)

ბრაზილია: ბარბოსა (16), უერტასი (15+10 პ), ვარეჟაო (12+7 მ), ნენე (10), სპლიტერი (7+7 მ).

ავსტრალია: მილსი (18+7 მ+4 პ), ინგლესი (15), ანდერსენი (14+8 მ), ბეინსი (10+5 მ).

A ჯგუფი

აშშ-საფრანგეთი 98:71 (22:21, 30:15, 26:15, 20:20)

აშშ: დიურანი (22+9 მ), ლავი (14+3 მ), ბრაიანტი (10), ენტონი (9+9 მ), ჯეიმსი (9+8 პ+5 მ+2 მ+2 დ), უესტბრუქი (9+4 მ+3 პ), ჩენდლერი (8+9 მ+3 პ), ჰარდენი (5), პოლი (5), ულიამსი (3+6 პ+4 მ), დევისი (3), იგუ-ოდალა (1).

საფრანგეთი: ტრაორე (12+5 მ), პარკერი

ესპანეთი-ჩინეთი 97:81 (19:17, 34:24, 16:19, 28:21)

ესპანეთი: პო გასოლი (21+11 მ+4 პ), იბაკა (17+5 მ+3 დ), ნავარო (14), კალდერონი (12), მარკ გასოლი (5+5 პ).

ჩინეთი: ქსიანლიანი (30+12 მ).

გამომცემლობა ინტელექტი

ხანაწერები

20 წიგნი

გამოუქვეყნებელი დღიურები

ცნობილი ადამიანების უცნობი ავტობიოგრაფიული უტრისებები

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ



დაგვიკავშირდით:

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
 ტელ: (+995 32) 2 25 05 22
 (+995 32) 2 47 55 54
 intelekti@caucasus.net
 info@intelekti.ge
 www.intelekti.ge
 www.intelekti.ge